ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 55
27/10/2017

55-04-4-201710271505

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ორცვის მე-6 ქუჩის IV ჩიხის მოპირდაპირე უსახელო ჩიხისთვის მე-6 ქუჩის V ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ორცვის მე-6 ქუჩის IV ჩიხის მოპირდაპირე უსახელო ჩიხს ეწოდოს „მე-6 ქუჩის V ჩიხი“ თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:
   ა) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;
   ბ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
   გ) ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე


ქედის მუნიციპალიტეტი
სოფელ ორცვა
პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
მისამართები
ქუჩები
შენობები
1:1,800
N
W
E
S
ორცვა